

ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში¹

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებში, როდესაც გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა (XI ს.), ეფრემ მცირემ (XI ს.), იოანე პეტრიწმა (XI—XII სს.) ბერძნულიდან თარგმნის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცეს და შექმნეს მთარგმნელობითი მუშაობის თეორია, არსებობდა ყველა პირობა იმისათვის, რომ შექმნილიყო და განვითარებულიყო მდიდარი ტერმინოლოგიური ლექსიკაც.

მათ მიერ ხმარებული ბევრი ტერმინი დღესაც ერთადერთია სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთებია, მაგალითად, გრძნობა, გრძნობადი, მეტყველება, არსი, მეცნიერება, შემეცნება, აგებულება, ბუნებათა მეტყველება (დღევანდელი ბუნებისმეტყველება), გონიერი, გონიერება, უპირატესი, ნივთიერი, სიბრძნის მეტყველება, მგრძნობელობა, მონაცვლეობა, არარაობა, ცნობიერება, ჭეშმარიტება, მოძღვრება, ურთიერთობა, იგივეობა, მსგავსებითი, ხილული, უმეცრება, უმსგავსი, ვარსკვლავთმრიცხველობა, შესატყვისობა და ბევრი სხვა.

XI—XII საუკუნეების სალიტერატურო ენას შესწევდა უნარი გადმოეცა მაშინდელი ფილოსოფიური აზროვნების ყველა ნიუანსი.

ქართული სალიტერატურო ენის ტერმინოლოგიური ლექსიკით გამდიდრების საქმეში დიდთა დვაწლი გამოჩენილი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანისა, რომლის ლექსიკონიც ცნებათა უჩვეულო დეტალიზაციისა და მეცნიერული განსაზღვრის თვალსაზრისით დღესაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავებისას.

¹ წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესიაზე 1970 წლის 24 ივნისს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ საქმეში სულხან-საბა ორბელიანის ტრადიციების ნიჭიერი გამგრძელებლების და აგრეთვე შემდეგდროინდელი ქართველი მოღვაწეების — დავით რექტორის (XVIII ს.), იოანე ბაგრატიონის (XVIII ს.), ანტონ კათალიკოსის (XVIII ს.), ნიკო ჩუბინაშვილის (XIX ს.) და დავით ჩუბინაშვილის (XIX ს.) დამსახურებაც.

იოანე ბაგრატიონი, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები სულხან-საბას ტრადიციების გამგრძელებლები არიან, ამასთან ავტორები ახალი ტიპის ორენოვანი, სამენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონებისა. იოანე ბაგრატიონის მიერ 1814 წელს შედგენილი ბუნებისმეტყველების სპეციალური რუსულ-ლათინურ-ქართული ლექსიკონი შეიცავს 3000 სალექსიკონო ერთეულს. იგი პირველი ცდაა დარგობრივი ლექსიკონის შედგენისა, სადაც საკუთრივ ტერმინოლოგიური ნაწილის გარდა, მოცემულია ქართულ ტერმინთა წარმომავლობა და ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები.

დიდძალ ტერმინოლოგიურ მასალას შეიცავს მისივე ექვსტომიანი (40 000 სიტყვის შემცველი) რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი 1807 წელს; მასში შეტანილია, ერთი მხრით, ტერმინები ცოდნის ისეთი დარგებიდან, როგორცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა, ლოგიკა, იურისპრუდენცია, მითოლოგია, ენათმეცნიერება, პოეტიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ისტორია და, მეორე მხრით, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობასთან, რელიგიურ რიტუალებსა და სამხედრო ცერემონიალთან დაკავშირებული სიტყვები, სამედიცინო, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინები. მხოლოდ ბუნებისმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინები 5 000-მდეა. ეს თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც თავმოყრილია დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა, თანამედროვე ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისითაც დიდ ინტერესს იწვევს.

იოანე ბაგრატიონს რამდენიმე ენაზე მოუწვდებოდა ხელი. ეს ენებია: რუსული, თურქული, არაბული, სპარსული, სომხური, ფრანგული, ლათინური. ამიტომაცაა, რომ მისი დარგობრივი ლექსიკონები რუსულ-ქართულ-თურქულია, ქართულ-ფრანგულ-სპარსული, ქართულ-არაბულ-სპარსულ-თათრულ-ლათინურ-სომხური.

იოანე ბაგრატიონის ლექსიკონები გამოცემული არაა და არც წმინდა ლექსიკოლოგიურ-ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაა შესწავლილი ისევე, როგორც საგანგებოდ შესწავლილი არაა რამდენიმე ათეული იმდროინდელი (XVIII—XIX საუკუნის) ხელნაწერი ლექსიკონი, ძირითადად დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართვე-

ლოს ცენტრალური საისტორიო არქივის, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებისა და ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონდებში.

საგანგებო შესწავლას მოითხოვს ტერმინოლოგიური თვალსაზრისით XIX საუკუნის გამოჩენილი მწერლებისა და მოღვაწეების მდიდარი მემკვიდრეობა — ილია ჭავჭავაძისა, რაფიელ ერისთავის, მიხეილ და კოტე ყიფიანებისა და სხვებისა.

ილია ჭავჭავაძის შემოღებულადაა მიჩნეული დღეს ჩვენში დამკვიდრებული ტერმინები: **მიმართულება, ღირებულება, სინამდვილე, უარყოფა, უფლება, შინაარსი, თვალთახედვა** და სხვ.

ინტენსიურ ტერმინოლოგიურ მუშაობას ეწეოდა XIX საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოცდაათიან წლებში რაფიელ ერისთავი. მას შედგენილი და გამოქვეყნებული აქვს მცირე მოცულობის ტერმინოლოგიები: ქიმიისა და ფიზიკისა, საზომ-საწყაოსი, ასტრონომიისა და ასტროლოგიისა, ზღვისა და ზღვაში ცურვისა, სამხედრო და საომარი, ართიმეტიკისა და გეომეტრიისა, თანამდებობებისა, სადღურგლო და სამჭედლო ტერმინები და სხვ.

1873 წ. დაიბეჭდა რ. ერისთავის „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, რომლის ვრცელი, შევსებული და შესწორებული რედაქცია გამოქვეყნდა 1884 წელს შემდეგი სახელწოდებით: „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან“.

ეს ლექსიკონი, რომელიც 2 000-მდე სიტყვას შეიცავს, იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ, გარდა სამენოვანი დასახელებისა, ითვალისწინებს ქართული დიალექტების (იმერულის, გურულის, რაჭულის, ფშაურის, მთიულურის) და ერთ-ერთი ქართველური ენის (მეგრულის) მონაცემებს.

რ. ერისთავს ხელნაწერი სალექსიკონო მასალაც უზვად დარჩენია. ეს მასალა ძირითადად დარგობრივია და უმთავრესად ხალხური მეტყველების ნიმუშებს ან კიდევ ბიბლიისა და ოთხთავის ლექსიკის ნიმუშებს წარმოგვიდგენს. კერძოდ, აქ ვხვდებით ურმისა და შენობის ნაწილების სახელწოდებებს, დაკლული საქონლის ნაწილების სახელწოდებებს, ადამიანთა ხმების სახელებს, მცენარეთა და ფრინველთა სახელებს, გეოგრაფიულ სახელებს და ზოდიაქოთა სახელწოდებებს და ა. შ. აქვეა მოცემული ფერთა ვრცელი სია, ამასთან არა მარტო ძირითადი ფერებისა, არამედ თანაფერთა მრავალრიცხოვანი ნიუანსებისაც კი.

რ. ერისთავმა მრავალი რუსული ტერმინი და ტერმინოლოგიური გამოთქმა გადმოაქართულა მარჯვედ და დაამკვიდრა ჩვენს ენაში. მან-

ვე გამოიყენა ტერმინებად ისეთი ძველი სიტყვები, როგორცაა: კონცხი, აფრა, ოწინარი, აზარმაცი, ბუნიაოზა, კუნძული, რუკა, ქურო და სხვ.

ქართული საზოგადოებრიობის დიდ დაინტერესებაზე ტერმინოლოგიის საკითხებით მეტყველებს XIX საუკუნის ქართული პრესა, რომელშიაც სისტემატურად იბეჭდებოდა ტერმინოლოგიური მასალები, ტერმინოლოგიის საკითხებზე გამართული კრებებისა და დისკუსიების შედეგები, რეცენზიები გამოქვეყნებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე და სხვა.

დისკუსიებში მონაწილეობას იღებდნენ: ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ივ. მაჩაბელი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, იმდროინდელი მთარგმნელები და მასწავლებლები.

პრესაში ხაზგასმით აღინიშნებოდა ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემის დიდი საჭიროება. XIX ს. II ნახევრის ჟურნალ-გაზეთებიდან ვიგებთ, თუ რამდენად ფართო იყო იმდროინდელი ინტელიგენციის ინტერესთა წრე, როგორი განსაკუთრებული გულისყურით ადევნებდნენ თვალს ისინი ერის კულტურის ამადლებასთან დაკავშირებულ მრავალ საჭირობოროტო საკითხს და, პირველ რიგში, ენის საკითხს. მათი თვალსაზრისით, ქართული ენისა და ტერმინოლოგიის საკითხებისადმი გულგრილი დამოკიდებულება პიროვნების პირადი ღირსების შემლახველი იყო და თითოეული ქართველის სინდისისა და მოვალეობის საქმედ იყო მიჩნეული.

თუმცა ამ გამოსვლებსა და დისკუსიებს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ საქმისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ განსაზღვრის გზები, რომლითაც უნდა წასულიყო ჩვენში ინტელიგენციის შემდგომი თაობა და ერთგვარად განაპირობა ის წარმატება ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეში, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, მყარი ტრადიციები ჰქონდათ ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების საქმეში, XX საუკუნის დასაწყისისათვის მეცნიერების მრავალი სხვადასხვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლების გაეროვნულებასთან, საქართველოში ქართული უნივერსიტეტისა და სხვადასხვა ტიპის უმაღლეს თუ სპეციალურ სასწავლებელთა დაარსებასთან დაკავშირებით, აშკარად იგრძნობოდა ტერმინოლოგიური ლექსიკის უკმარობა.

ჩამორჩენა გვქონდა განსაკუთრებით ტექნიკის დარგში, რომელიც იმ დროისათვის ახლად იდგამდა ფეხს. ტერმინოლოგიური მუშაობა აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა.

თაოსნობა ამ საქმეში ეკუთვნის საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებას, რომელმაც 1920 წელს გამოსცა „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)“, რუსულ-ქართული ნაწილი. ამ წიგნის მეორე შეესებულე გამოცემა (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილი) გამოვიდა 1921 წელს.

ცნობილია, რომ ტექნიკური საზოგადოების მიერ შედგენილმა ამ ტერმინოლოგიამ დადებითი როლი ითამაშა: ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა, ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას დასაბამი მიეცა. ამ ლექსიკონის შემდგენელთა მიერ მოწოდებული ბევრი ტერმინი დღესაც ერთადერთია. ასეთებია, მაგალითად, დღეს ყველასათვის ცნობილი ტერმინები: წნევა, დენი, სადენი, ძრავა, სინჯარა, ბრჯენი, კუთრი, ბუდობი, მინარევი, მდგრადი, ხსნარი, წნეხი, წინაღობა, ხრანნი, სანთურა, ნათურა, მართი კუთხე და სხვ.

ცნობილია ისიც, რომ ამ ლექსიკონს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ეს ბუნებრივია იყო: იმ ხანებში ჩვენში არ მოგვეპოვებოდა სათანადო გამოცდილება და არ გვექონდა შემუშავებული პრინციპები ტექნიკური ტერმინების შერჩევისა და აგებისა. ლექსიკონის შემდგენლებს — ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს — პირველად უხდებოდათ ამ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლექსიკონის შემდგენელთა მიერ ტერმინების შემუშავებისას არჩეული პრინციპები ყოველთვის ერთგვარი არ ყოფილა და არც ერთნაირი ღირებულებისა. თუ ზოგ შემთხვევაში ისინი მართლაც საგულისხმო და ფასეულ მასალას უყრიდნენ თავს, სხვა შემთხვევებში მათ მიერ არჩეული გზა და საშუალებები ტერმინის დადგენისა გაუმართლებელი და მიუღებელი იყო. შემდგენელთა მთავარ მიზანს ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულებელყოფა შეადგენდა, ხოლო მათ მიერ სახელდახელოდ შექმნილი ქართული ვარიანტი მეტწილად ხელოვნურად იყო შეთხზული, არ ემყარებოდა ქართული სიტყვაწარმოების წესებს.

ერთიანი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმე სხვაგვარ მოვლა-პატრონობას ითხოვდა. ძველ პრინციპებზე აგებული ტერმინოლოგია, ბუნებრივია, ფეხს ადვილად ვერ იკიდებდა და ის ხარვეზი, რომელიც ამ მხრივ ტექნიკის დარგში იგრძნობოდა, კვლავ ამოუცხვებელი რჩებოდა. სადავო არ იყო, რომ ტერმინების შემუშავების საქმე სხვაგვარ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, ამ საქმეში, უპირველეს ყოვლისა, ენათმეცნიერთა კოლექტივის სისტემატური და ინტენსიური მონაწილეობა იყო აუცილებელი.

ასეთი სისტემატური, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში დაიწყო 1921 წლიდან,

როდესაც ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებაში და ტექნიკური და მეცნიერული პროგრესის ხანა დაიწყო. სწორედ 1921 წელს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“ პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ამ საბჭოს მინდობილი ჰქონდა ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარებაც. 1925 წლიდან ეს სამეცნიერო საბჭო გადაკეთდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ „ცენტრალურ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ კომიტეტად“. 1936 წლიდან ტერმინოლოგიური მუშაობა დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს, სადაც შეიქმნა სპეციალური განყოფილება სამეცნიერო ტერმინოლოგიისა. 1941 წლიდან სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაში შედის. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ამ განყოფილებას სათავეში ედგა პროფ. ვუკ. ბერიძე.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება, რომლის მუშაობაში იმთავითვე იყო ჩაბმული ქართველ მეცნიერთა დიდი კოლექტივი (როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ისე ენათმეცნიერები და ფილოლოგები), აწარმოებდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების განხილვა-დაზუსტებას, დადგენასა და უნიფიკაციას, ე. ი. ასრულებდა იმ დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს, რომლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებულია.

ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტის ჩამოყალიბებიდან დღემდე გამოქვეყნებულია 40-მდე ტერმინოლოგიური ლექსიკონი მეცნიერების სხვადასხვა დარგისა: მათემატიკისა, ფიზიკისა და ელექტრონიკისა, ლიტერატურისა და ენათმეცნიერებისა, ნორმალური ანატომიისა, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული საქმისა, ენტომოლოგიისა, მემცენარეობისა, გეოლოგიისა და პალეონტოლოგიისა, საავიაციო საქმისა, მედიცინისა, ეკონომიკისა, ნიადაგთმცოდნეობისა, მეტალურგიისა, სტატისტიკისა და აღრიცხვისა, ტექნიკისა, სოფლის მეურნეობისა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა, იურიდიული, ელექტროწვევისა, რადიოელექტრონიკისა, ჰიდროტექნიკისა, სატყეოტექნიკური და სხვ.

ამჟამად იბეჭდება „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ მნიშვნელოვნად შევსებული და დაზუსტებული გამოცემა. სასტამბოდ მზადდება სამშენებლო საქმის, გეოფიზიკის და მეფუტკრეობის ტერმინოლოგიები.

ახლო მომავლისთვისაა გათვალისწინებული ფილოსოფიის, სამთო საქმის, კიბერნეტიკისა და ავტომატიკის, კულინარიისა და სხვ. ტერმინოლოგიების დამუშავება.

ყველა ტერმინოლოგიური ლექსიკონი სპეციალისტებისა და ლინგვისტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. სპეციალისტები ავლენენ ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინაში ხმარებულ ცნებებს და ასაბუთებენ მათი ფიქსირების საჭიროებას, ადგენენ ერთი რომელიმე დარგის ფარგლებში ტერმინოლოგიური ლექსიკის მოცულობასა და მიჯნებს, საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენენ ამ ცნებათა განმარტებებს, ხოლო ენათმეცნიერები ქართული ენის გრამატიკული ნორმებისა და ლექსიკური შესაძლებლობების მიხედვით აზუსტებენ და შეიმუშავებენ ქართულ ადეკვატურ შესატყვისებს, უზრუნველყოფენ თითოეული ტერმინის აგების სისწორეს.

როგორია ის პრინციპები, რომელთაც ემყარება ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება ტერმინოლოგიური მუშაობის დროს?

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისას ყველაზე გრცელსა და მდიდარ წყაროს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის მდიდარი ლექსიკური მასალა (იგულისხმება როგორც თანამედროვე სალიტერატურო ენა, ისე ძველი ქართული ენის ლექსიკა და თანამედროვე ქართული დიალექტიკური ლექსიკაც). ეს არის ძირითადი ფონდი, რომელიც შეადგენს ტერმინოლოგიური მუშაობის ხერხემალს.

გარდა ქართულისა, ახალი ტერმინების შემუშავების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა.

უცხო ენებიდან სესხება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ უცხო სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი, შესაბამისი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა, არც ამჟამად მოგვეპოვება და არც ისტორიულადაა დადასტურებული ქართულში, ამასთან, როდესაც ეს სიტყვები მტკიცეა და მკვიდრებული როგორც რუსულში, ისე მრავალ სხვა ენაში. უცხო სიტყვათა შემოსვლას ჩვენს ენაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს სიტყვები შემოდიოდა ჩვენს ენაში საქართველოს სხვა ქვეყნებთან მრავალმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური თუ კულტურული ურთიერთობის შედეგად, შემოდიოდა უშუალოდ ან სხვა ენის მეშვეობით.

უცხო სიტყვათა სესხების პრინციპები, ამგვარ სიტყვათა ქართულში გაფორმების საკითხები, ისევე როგორც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციის ბევრი სხვა საკითხი, სავსებით შეხამე-

საკუთარი ენის ფონდიდან ახალი ტერმინების შერჩევა უმთავრესად ხდება სიტყვაწარმოებისა და სიტყვათა თხზვის, ანუ კომპოზიციის, გზით. სიტყვაწარმოებისას მაქსიმალურადაა გამოყენებული ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობანი. არც ერთი აფიქსი, თუნდაც ნაკლებ გავრცელებულიც იყოს იგი ხმარების თვალსაზრისით, არაა უყურადღებოდ დატოვებული. უფრო მეტიც, ჩვეულებრივია ერთი სიტყვის გასაფორმებლად რამდენიმე სხვადასხვა აფიქსის გამოყენებაც, ე. ი. სიტყვათა ორგზისი ან სამგზისი წარმოებაც. ამგვარადაა შექმნილი, მაგალითად, მანქანათა დასახელებების მთელი სისტემა: **სათესელა**, **სათიბელა** და სხვ. ამ შემთხვევაში ჯერ მიმღეობებია ნაწარმოები **სა-** — **ელ** აფიქსების საშუალებით, ხოლო შემდგომ მიმღეობის ფუძეს (**სათიბელ-**, **სათესელ-**) დაერთვის **-ა** სუფიქსი.

ზოგჯერ გვაქვს ერთგვარი რაციონალური გამოყენებაც ამ აფიქსებისა. ასე მაგალითად, ერთი და იმავე დანიშნულების მქონე აფიქსს მიკუთვნებული აქვს სრულიად გარკვეული, დიფერენცირებული მნიშვნელობა. ამისათვის საუკეთესო მაგალითს იძლევა ქიმიის ტერმინოლოგიის მასალა. ქართულში არსებული **-იან** და **-ოვან** სუფიქსთაგან, რომლებიც ერთისა და იმავე მნიშვნელობის ფუძეებს აწარმოებენ, **-ოვან** გამოყენებულია ერთი წყების სიტყვებისათვის, რომელთაც რუსულში **-истый** დაბოლოება აქვთ (**хлористый**, **нодистый** და სხვა), ხოლო **-იან** სუფიქსი განსხვავებული მნიშვნელობის მქონე მეორე წყების ზედსართავებისათვის — **нодный**, **хлорный** და შისტანა სიტყვებისათვის. ქიმიის ტერმინოლოგიის მიმართ აღრევე აღებული ეს ხაზი დღესაც გრძელდება და უფრო თანამიმდევრულადაც, ოღონდ, სამწუხაროდ, ეს პრინციპი ნაკლებად არის გამოყენებული სხვა დარგის ტერმინოლოგიაში.

ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება ცნებებისა და მისი გამომხატველი ტერმინის შესატყვისობის პრინციპს. ტერმინით საჭიროა გადმოცემულ იქნეს ცნების რეალური შინაარსი და ამა თუ იმ საგანს თუ მოვლენას შეერქვას სახელი მისი ძირითადი ნიშნის მიხედვით, რომელიც არც მეტისმეტად ზოგადია, არც მეტისმეტად ვიწრო და არც მეორეხარისხოვანი.

ცნების შესატყვისობის პრინციპთან ერთად არანაკლები ყურადღება ექცევა ტერმინის სიმოკლეს ანუ ეკონომიურობას. ცნობილია, რომ პრაქტიკაში რომელიმე ტერმინის დანერგვას ძალიან უშლის ხელს გრძელი და წარმოსათქმელად მოუხერხებელი ტერმინების შემოღება. როგორც კი ამგვარი ტერმინი შედის ხმარებაში, მას დროთა განმავლობაში პრაქტიკული გამოყენებისას ამოკლებენ და, რაც სამწუხაროა, ეს ხდება უპირატესად ენობრივი თვალსაზრისით დაუშვებელი გზით.

ტერმინთა უხეირო შემოკლება ქმნის დიდ საშიშროებას — ამას შეიძლება მოჰყვეს ენობრივი დამახინჯებანი, ხშირად კურიოზული ხასიათის შეცდომები. ამიტომ შემოკლებისას საჭიროა დაცული იყოს ერთგვარი ზომიერება, განპირობებული გარკვეული ენობრივი ალლოთი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიურ მუშაობაში ტერმინთა მრავალმნიშვნელობიანობის, ანუ პოლისემიის, საკითხებს. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი სიტყვისაგან განსხვავებით ყოველ სამეცნიერო ტერმინს უნდა ჰქონდეს სრულიად განსაზღვრული, მტკიცედ ფიქსირებული მნიშვნელობა და თანაც, რაც ნიშანდობლივია ტერმინისათვის, ამ მნიშვნელობას უნდა გამოხატავდეს კონტექსტისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, ტერმინის მონოსემიურობა ყოველთვის არაა დაცული ჩვენს ტერმინოლოგიებში თვით ერთი რომელიმე დისციპლინის ფარგლებშიც კი: ერთი ტერმინი ზოგჯერ გამოხატავს ორ ან მეტ ცნებას, რაც უთუოდ ართულებს სამეცნიერო ლიტერატურაში ადვილად გარკვევის საკითხს და ხდება მრავალი პრაქტიკული შეცდომის საფუძველი.

არანაკლებადაა გავრცელებული ჩვენს ტერმინოლოგიებში სინონიმია, როდესაც ერთი ცნებისათვის მოგვეპოვება ორი, სამი ან მეტი ტერმინი. ეს სინონიმები, ანუ ე. წ. ტერმინოლოგიური დუბლეტები, სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს: ზოგჯერ სინონიმური წყვილის მნიშვნელობები. სრულიად იდენტურია, ე. ი. აბსოლუტურ სინონიმებთან გვაქვს საქმე, ზოგჯერ კი მათი მნიშვნელობები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს.

ასეთი პარალელიზმები ზოგჯერ სიტყვების სემანტიკური სიახლოვითა და მსგავსებით აიხსნება, ზოგჯერ დიალექტიკური ლექსიკისა და უცხო, ნასესხები ლექსიკის სხვადასხვა ნაკადის შემოჭრით სამეცნიერო ენაში, ზოგჯერ კიდევ სხვადასხვა სკოლებისა და მიმართულებების თვალსაზრისების ჩამორჩენის შედეგია, მაგრამ სინონიმია, როგორც უნდა იყოს იგი და რა ახსნაც უნდა მოეპოვებოდეს მას, სულ ერთია, მაინც შეუწყნარებელია ტერმინოლოგიურ მუშაობაში. მეცნიერული ენისათვის საჭიროა ამ სინონიმ-დუბლეტთა ფუნქციურ-სემანტიკური გამიჯვნა ან სულ გაუქმება, ე. ი. ორი დუბლეტისაგან ერთის არჩევა.

ასეთია ის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც ხდება მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საგრძნობლად დაიხვეწა და დაზუსტდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, ბევრი მოძველებული ტერმინი შეიცვალა ახალი უფრო მარჯვე და ზუსტი ტერმინით,

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათა გაფორმებისას უთუოდ მეტადაა დაცული ერთგვარობა, მაინც ბევრი ნაკლი თავიდან ვერ არის სავსებით აცილებული, თუნდაც სინონიმის, სიტყვათა მრავალმნიშვნელობიანობის, მათი შემოკლების თვალსაზრისით.

ბევრი რამაა მოსაგვარებელი სიტყვაწარმოების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ერთი მხრით, მა- და მ- პრეფიქსებით, ხოლო, მეორე მხრით, სა- პრეფიქსით მიმღობათა წარმოების შემთხვევები. გრამატიკული ფუნქცია ზემოდასახელებული პრეფიქსებისა თითქოს სრულიად ნათელია: მა- და მ- პრეფიქსები მოქმედებითი გვარის მიმღობას აწარმოებენ, ხოლო ვნებითი გვარის მომავალი დროის მიმღობის მაწარმოებელი სა- პრეფიქსი ან მოქმედების ობიექტს გამოხატავს, დანიშნულებას გვიჩვენებს, ანდა აღნიშნავს იარაღს, რითაც მოქმედება ხდება. ეს ფუნქციები ზემოდასახელებული მაწარმოებლებისა ამჟამად ხშირად უკვე დარღვეულია. დღეს ბევრ შემთხვევაში სა- პრეფიქსი მა- და მ- პრეფიქსების ეკვივალენტური გამოდის; განსაკუთრებით ეს შეინიშნება მაშინ, როდესაც სა-თი ნაწარმოები მიმღობა შეიცავს იმ იარაღის გაგებას, რომლითაც მოქმედება ხდება.

თითოეულ ამ წარმოებას თავის დროზე, უთუოდ, სათანადო ადგილი ჰქონდა მიჩნეული, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ პრეფიქსების ფუნქციები აირია. ამის შედეგია, რომ ხან გამანაწილებელი გვაქვს და ხან სანაწილებელი, ხან მესხარდი და ხან მესამარიდი და ა. შ.

ცხადია, რომ ერთსა და იმავე პირობებში, ერთისა და იმავე შემთხვევებისათვის ორი ფუნქციურად ერთგვარი მაწარმოებლის ხმარება ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია. საჭიროა მკვეთრად იყოს განსხვავებული შემთხვევები მათი ხმარებისა, ორი და მეტი ფუნქციურად მონათესავე წარმოებისაგან ერთ-ერთს მიეცეს გარკვეული უპირატესობა და დამატებით ფაქტორთა მოშველიებით შემუშავდეს ყველასათვის ერთგვარად სავალდებულო და მტკიცე ენობრივი ნორმა.

მოგვარებას მოითხოვს ზოგიერთი რუსული მიმღობის ქართული შესატყვისებისა და მათი გაფორმების საკითხი.

ცნობილია, რომ რუსულ მიმღობათა ფორმები ქართულში წარმოების თვალსაზრისით მეტად ჭრელ სურათს იძლევა. ტრადიციულ წარმოებას თანამიმდევრულად აგრძელებს მხოლოდ მიმღობათა ერთი წყება, სახელდობრ, რუსულ უკუქცევით ზმნათა ნამყოს მიმღობები

ისეთი ტიპისა, როგორიცაა: **ВОЗОБНОВИВШИЙСЯ (განახლებული)**, **УСТА-
НОВИВШИЙСЯ (დამყარებული)** და სხვა.

რაც შეეხება რუსულ მოქმედებითი და ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობებს, ერთი მხრით, და უკუქცევით ზმნათა აწმყოს მიმღეობებს, მეორე მხრით, მათ გადმოსაღებად გამოყენებულია ქართული ენის მიმღეობათა პრეფიქსულ-სუფიქსური ან ოდენსუფიქსური წარმოების თითქმის ყველა არსებული შესაძლებლობა. უკუქცევით ზმნათა აწმყოს მიმღეობათა გადმოსაღებად კი (მხედველობაში გვაქვს მიმღეობები იმ ტიპისა, როგორიცაა: **СТРОЯЩИЙСЯ** და სხვ.) ახალი საშუალებებიცაა შემუშავებული, რამდენადაც ასეთი კატეგორია უცხოა ქართულისათვის.

ამგვარი ტიპის მიმღეობათა შესატყვისების საწარმოებლად ჩვენს ბოლოდროინდელ ტერმინოლოგიებში აღებულია ზმნის გაადიექტივებული ფორმა, კერძოდ, აღებულია ვნებითი გვარის ზმნის აწმყო დროის ფორმა და გაკეთებულია მისგან სახელი: **შენდება — შენდებალი (СТРОЯЩИЙСЯ)**, **იკოქება — იკოქებალი (КОКСУЮЩИЙСЯ)**, **ყირავდება — ყირავდებალი (ОПРОКИДЫВАЮЩИЙСЯ)**, თვით იმუხტება — **თვით-იმუხტებალი (САМОЗАРЯЖАЮЩИЙСЯ)** და ა. შ.

პირიანი ფორმისაგან სახელის წარმოებას არ ვხვდებით ახალ ქართულში, მაგრამ ასეთი წარმოება უჩვეულო არ იყო ძველი ქართულისათვის. ზმნის პირიანი ფორმისაგანა ნაწარმოები, მაგ., რომელიმე **ნეტარარიანი-ი**, **უგალობლით-ი**, **აქებლით-ი**, **მომიხსენენ-ი**, **აკურთხევს-ი**, **ლაღაღყავს-ი** და სხვა. ამგვარადაა ნაწარმოები როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვები — **ღირს-ი**, **არს-ი**, **მრწამს-ი** და სხვ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ **შენდებალი-ს** ტიპის ფორმები ჯერჯერობით სპეციალისტებს შორის რატომღაც ძნელად იკიდებს ფეხს. ამგვარი ფორმების გადმოღებისას სპეციალისტები მეტწილად მიმართულებით ბრუნვაში დასმულ მასდარს იყენებენ ამოსავალ ფუძედ: **შენებალი**, **ჟანგვალი**, **აყირავებალი**, **განტვირთვალი**, **მუხრუჭებალი** და მისთ., რაც, რასაკვირველია, საკითხის გადაწყვეტად არ შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც ამგვარი წარმოება (მიმართულებითს ბრუნვაში დასმული მასდარი) უკვე გამოყენებულია სხვაგვარი მნიშვნელობის მქონე მიმღეობათა გადმოსაცემად, როგორიცაა: **КОКСУЕМЫЙ**, **ВОСПЛАМЕНЯЕМЫЙ** და ა. შ.

ერთი მხრით, **КОКСУЮЩИЙСЯ**- ფორმის და, მეორე მხრით, **КОКСУЕМЫЙ**- ფორმის და, საერთოდ, სხვა ამგვარი წყვილების ერთნაირი საშუალებებით გადმოცემა ქართულში და ამ ნაბიჯის ასე გამართლება — კონტექსტი ვაარჩევსო — სრულიად გაუმართლებელი ჩანს. თვით

სპეციალისტების მტკიცებით, ეს გარემოება ზოგჯერ დაუშვებელი შეცდომების წყარო ხდება.

უთუოდ მოგვარებას ითხოვს საკითხი ზოგი სპეციფიკური რუსული კონსტრუქციის ქართულად გადმოცემისა, ვთქვათ, ისეთებისა, როგორცაა, მაგალითად: испытание на изгиб, испытание на износ ანდა расчёт на разрыв, расчёт на кручение და მისთ. ეს კონსტრუქციები სხვადასხვაგვარადაა ქართულში გადმოცემული. ხან ასე: გამოცდა ღუნვაზე, გამოცდა ცვეთაზე, გაანგარიშება გაგლეჯაზე, გაანგარიშება გრეხაზე და ა. შ., რაც, რასაკვირველია, საკითხის გადაწყვეტა არ არის და რუსული კონსტრუქციის ქართულში უცვლელად გადმოტანას ნიშნავს. გადმოიცემოდა ეს ფორმები სხვაგვარადაც, კერძოდ: ა) ნათესაობითი ბრუნვის საშუალებით: ღუნვის გამოცდა, გრეხის გამოცდა... ბ) მიცემით ბრუნვაში დასმული ნანათესაობითარი მასდარის ფორმებით: გამოცდა ღუნვისას, გამოცდა ცვეთისას, გაანგარიშება გრეხისას და ა. შ.

ვერც ერთი ვერ გადმოგვცემს სათანადო რუსული კონსტრუქციის შინაარსს. ნათესაობითი ბრუნვის მეშვეობით გადმოცემული ფორმები — გრეხის გამოცდა და მისთანანი — ასეთ შინაარსს შეიცავენ: გამოიცადოს, გრეხადია თუ არა ესა თუ ის საგანი. ასეთი შემთხვევებისათვის რუსულს ფარდი გამოთქმები მოეპოვება: испытание прочности, испытание выносливости, испытание кручения და მისთ., რომლებიც რეალურად არსებული ცნებების შესატყვის გამოთქმებს წარმოადგენენ, испытание на кручение კი გულისხმობს: გამოცვადოთ მასალა ან დეტალი და მისთანანი იმ მხრივ, თუ რა ღუნვას გაუძლებს იგი ექსპლუატაციის დროს, რა ძაბვაზე გაიღუნება იგი სწორედ ექსპლუატაციის დროს და ა. შ.

მეორეგვარი გადმოცემაც (გრეხისას, ღუნვისას...) შინაარსობრივად გაუმართლებელი ჩანს.

გარკვეულ დაბრკოლებებს ვაწყდებით რუსული до- და недо- ზმნისწინიანი ფორმების ქართულად თარგმნისას, როდესაც ეს ზმნისწინები მოქმედების ბოლომდე შესრულებისა თუ შეუსრულებლობის შინაარსს გადმოგვცემენ (добуривание, догорание, недобуривание, nedovozbuzhdenie...), და пере- ზმნისწინიანი ფორმების ქართულად გადმოცემისას, როცა ეს უკანასკნელი მოქმედების ინტენსიურობას ანდა მოქმედების მეორეგზისობას გადმოგვცემს: перенапряжение, перекручивание და სხვ.

კიდევ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ, ნათქვამიდანაც აშკარაა, რომ არაერთი საკითხი ჯერ კიდევ მოგვარებას მოითხოვს.

„აუკიდეს კამარა და დაადგნენ აღმოსავლეთის გზას სასიძობები“ (აკაკი).

უეჭველია, გადატანილი ხმარების დროსაც მხოლოდ კამარის შეკვრის (ან გაკეთების) შესახებ შეიძლება ლაპარაკი. შეუძლებელია კამარა ჰკრან, გაჰკრან, აუკიდონ...

კიდევ არაერთი შემთხვევის მოყვანაა შესაძლებელი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ბუნდოვანდება ფრაზის მნიშვნელობა, როგორ ქარწყლდება მისი გამომხატველობითი ძალა, როდესაც მეტაფორულად ნახმარი სიტყვა შეუსაბამო კონტექსტში გამოიყენება².

² საილუსტრაციო მასალის შერჩევისას ვსარგებლობდით განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდით, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტში არის დაცული.